საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის

# გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №211

2016 წლის 9 დეკემბერი ქ. ბათუმი

ა(ა)იპ ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტოს
მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის
საშუალებით განხორციელების შესახებ
თანხმობის მიცემის თაობაზე

1. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, ა(ა)იპ ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტოს მიეცეს თანხმობა, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2016 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით დამტკიცებული პროგრამის „ტურისტული პროდუქტებისა და სერვისების განვითარება“, ქვეპროგრამის - „ტურისტული პროდუქტების განვითარება და დივერსიფიკაცია“ განსაზღვრულ ასიგნებათა ფარგლებში, საახალწლო ღონისძიების ორგანიზებასთან (ღირებულებით - 246,0 ათასი ლარი) დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

მთავრობის თავმჯდომარე ზურაბ პატარაძე